



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კლიმატული ლევან დავითის ძე

კლიმატული ლევან დავითის ძე (დ. 5. I. 1949, თბილისი), ინჟინერ-მშენებელი. ტექ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2003), საქართვე. საინჟინრო აკად. ნამდვილი წევრი (2006). 1972 დაამთავრა სპი-ის სამშ. ფაკ-ტი სპეციალობით ჰიდროტექნიკა და სანტექნიკა. 1972-73 მუშაობდა ინჟინრად „თბილქალაქპროექტში“, 1977-2000 – სპი-ის წყალმომარაგებისა და წყალარინების კათედრაზე. 2000-06 იყო ამავე კათედრის გამგე, 2009-15-სტუ-ის რექტორის მოადგილე. 2015-იდან არის სტუ-ის ვიცე-რექტორი.

კ-ის მეცნ. ინტერესებისა და კვლევის სფეროა წყალმომარაგების სისტემების საიმედოობის ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება. გამოქვეყნებული აქვს სამეცნ. ნაშრომები, მ.შ. 11 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. მიღებული აქვს 5 საავტორო მოწმობა, 1 პატენტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

თხზ.: წყლის მინოდებისა და განაწილების სისტემების საიმედოობა, თბ., 2011; მტყუნებათა შეფასება წყლის მინოდებისა და განაწილების სისტემებში, თბ., 2015.
